სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

62665979217716

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N160010944

რეგისტრაციის თარიღი

08.01.2016 წ

ნოტარიუსი: ინგა ხარძიანი
მისამართი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის (კუტუზოვის) ქ. #6, პირველი სართული
ტელეფონი: 2308930; მაგთი ფიქსი: 790761651; მობ: 599502834;

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას თექვსმეტი წლის რვა იანვარს, მე, ნოტარიუს ინგა ხარძიანს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის (კუტუზოვის) ქ. №6, პირველ სართულზე, მომმართა **აკაკი ბედოიძემ**. მან განაცხადა, რომ არის შპს **"სიმბა 2015"**-ს (ს/კ 406146371) დირექტორი და ასევე ერთპიროვნული დამფუძნებელი-პარტნიორი და მოითხოვა **მზია ნათენაძისათვის** (დაბადებული 27.12.1961წ. ახალქალაქში, პირადი № 01013029336, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ვარკეთილი 3, 1 მ/რ, კორპ. 13, ბ. 94**),** შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭების გადაცემის აქტის (მინდობილობის) შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით: **აკაკი ბედოიძე** – დაბ. 09.08.1996წ. თბილისში, პირადი № 01027038854, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი ვარკეთილი 3 I მ/რ კორ. 13 ბ. 94**;** მე შევამოწმე **აკაკი ბედოიძის** უფლებამოსილება, რაც დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან საიდენტიფიკაციო ნომერი 406146371, ამონაწერის მომზადების თარიღი: 07.05.2015წ. განცხადების რეგისტრაციის №B 15100138 და ასევე მისი უფლებამოსილება შევამოწმე წესდებით, რომელიც წარმოდგენილია სამეწარმეო რეესტრის ელექტრონულ ბაზაში. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, უფლებაუნარიანობა, დავადგინე ნების გამოვლენის ნამდვილობა. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე და განვუმარტე მისი შინაარსი. მან წაიკითხა წინამდებარე მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი სრულიად შეესაბამება მის ნებას. მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თექვსმეტი წლის რვა იანვარს, ამ მინდობილობით შპს **"სიმბა 2015"**-ს (ს/კ 406146371) დირექტორმა და ერთპიროვნულმა დამფუძნებელმა-პარტნიორმა **აკაკი ბედოიძემ**, შემდგომში "მიმნდობი" **მზია ნათენაძეს**, შემდგომში წოდებული „მინდობილი" მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. აღნიშნული მინდობილობის განსახორციელებლად მინდობილი უფლებამოსილია წარმოადგინოს მიმნდობი საქმიან ურთიერთობებში, აწარმოოს მოლაპარაკებები, დაიცვას მიმნდობის ინტერესები ყველა სახელმწიფო, ადმინისტრაციულ, ადგილობრივ და კომერციულ ორგანოებში, იყოს მიმნდობის წარმომადგენელი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურში, სანოტარო ბიუროში, სამეწარმეო რეესტრში, არქივში, ნებისმიერ ბანკში საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, საგადასახადო ინსპექციაში, საბაჟო, საგადასახადო ორგანოებში შპს-ს სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით, მათ შორის საგადასახადო დავალებების, ანგარიშსწორებების და საგადასახადო დეკლარირების ელექტრონული ვერსით მიწოდების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს განცხადება, წარადგინოს დეკლარაცია და სხვა საჭირო საბუთები მიმნდობის მაგივრად, გადაიხადოს გადასახადები, ასევე ჩააბაროს ყოველთვიური და ყოველწლიური დეკლარაციები, მოახდინოს ანგარიშსწორება ბიუჯეტთან, განახორციელოს ბიუჯეტში ჩარიცხული თანხების შედარება, მინდობილი უფლებამოსილია გაასხვისოს შპს **"სიმბა 2015"**-ს (ს/კ 406146371) კუთვნილი უძრავ-მოძრავი ქონება, ხელშეკრულების პირობები განსაზღვროს საკუთარი შეხედულებისამებრ, უფლებამოსილია აწარმოოს სამშენებლო კომპანიებთან მოლაპარაკებები, დადოს ხელშეკრულებები, ნებისმიერი სახის გარიგებები, ასევე განახორციელოს ყველა საჭირო მოქმედება დაკავშირებული სამშენებლო საქმიანობასთან, მინდობილი ასევე უფლებამოსილია იყოს მიმნდობის წარმომადგენელი საქართველოს გამგეობებში, ქ. თბილისის მერიაში და მის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებში, ზედამხედველობის სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, იყოს წარმომადგენელი თელასში, წყალში (GWP), დასუფთავების სამსახურში, ყაზტრანსგაზში, მოაწეროს ხელი მიმნდობის მაგივრად და შეასრულოს ყველა სხვა მოქმედება რომელიც შედის საზოგადოების დირექტორის კომპეტენციაში და ასევე გათვალისწინებულია საზოგადოების წესდებით, მინდობილი უფლებამოსილია შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, რაც პირდაპირ არაა მითითებული მინდობილობაში, მაგრამ სავალდებულოა ამ მინდობილობით დადგენილი დავალების შესასრულებლად.

2. აღნიშნული მინდობილობის განსახორციელებლად მინდობილი უფლებამოსილია იყოს მიმნდობის წარმომადგენელი ნებისმიერი ბანკის ნებისმიერ ფილიალში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, შპს **"სიმბა 2015"**-ს სახელით გასხნას საბანკო ანგარიშები და/ან უკვე გახსნილ საბანკო ანგარიშებზე აწარმოოს საბანკო ოპერაციები, კერძოდ თანხის შეტანა, გამოტანა, გადარიცხვები, კონვერტაცია, აიღოს ცნობა, ამონაწერი, მიიღოს ყველანაირი ინფორმაცია მიმნდობის ანგარიშის შესახებ, გახსნას/გააქტიუროს ინტერნეტბანკინგი, ისარგებლოს ინტერნეტ ბანკინგით, გააქტიუროს და

3. აღნიშნული მინდობილობის განსახორციელებლად მინდობილი უფლებამოსილია მართოს და განკარგოს შპს **"სიმბა 2015"**-ს (ს/კ 406146371) საწესდებო კაპიტალში მიმნდობის კუთვნილი წილი – 100 (ასი) %, ამასთან დაკავშირებით მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების კრებაზე ხმის და გადაწყვეტილების მიღების უფლებით, მათ შორის მიიღოს გადაწყვეტილება დირექტორის შეცვლასთან დაკავშირებით, მოაწეროს ხელი მიმნდობის მაგივრად საზოგადოების საწესდებო კაპიტალში მიმნდობის კუთვნილი წილის 100 (ასი) %-ის გასხვისების ხელშეკრულებებს, კრების ოქმებს, გადაწყვეტილებებს, შეთანხმებებს წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ და სხვა საჭირო დოკუმენტებს. მინდობილი უფლებამოსილია წარმოადგინოს მიმნდობი საქმიან ურთიერთობებში, აწარმოოს მოლაპარაკებები, დაიცვას მიმნდობის ინტერესები ყველა სახელმწიფო, ადმინისტრაციულ, ადგილობრივ და კომერციულ ორგანოებში, დადოს შესაბამისი ხელშეკრულებები, ხელშეკრულების პირობები განსაზღვროს თავისი შეხედულებისამებრ, იყოს მიმნდობის წარმომადგენელი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სანოტარო ბიუროში, ნებისმიერ ბანკში საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, შემოსავლების სამსახურში, საგადასახადო ორგანოებში შპს-ს სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით, მოაწეროს ხელი მიმნდობის მაგივრად და შეასრულოს სხვა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან.

4. მინდობილი ასევე უფლებამოსილია იყოს მიმნდობის - შპს **"სიმბა 2015"**-ს (ს/კ 406146371) წარმომადგენელი ყველა ინსტანციის სასამართლოში, კერძო არბიტრაჟში მიუხედავად სახელწოდებისა და ადგილმდებარეობისა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, იყოს წარმომადგენელი აღსრულების ეროვნულ ბიუროში სააღსრულებო საქმის წარმოებასთან დაკავშირებით, კერძო აღმასრულებელთან, აწარმოოს სამოქალაქო და/ან ადმინისტრაციულ საქმე, მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციულ წარმოებაში, მიმნდობის სახელით შეიტანოს განცხადება და/ან სარჩელი სასამართლოში, უარი თქვას სარჩელზე, გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი, უკან დაიბრუნოს ბაჟი, უფლება აქვს დაამთავროს საქმე მორიგებით, გაასაჩივროს სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება თუ განჩინება, მიიღოს მონაწილეობა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაში, საჭიროების შემთხვევაში მინდობილი უფლებამოსილია მიმნდობის სახელით დაიქირაოს ადვოკატი, საჭიროების შემთხვევაში ხელი მოაწეროს ერთობლივ განცხადებას და/ან ხელშეკრულებას მიმნდობის მაგივრად ვალის სანაცვლოდ უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის შესახებ, შეკრიბოს და მიიღოს ყველა საჭირო ცნობები და დოკუმენტები, დადოს ხელშეკრულებები, გადაიხადოს გადახადები, მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ხელი მოაწეროს ქონების მიღება-ჩაბარების აქტს, ხელი მოაწეროს, დადოს და განახორციელოს ყველა გარიგება, შეთანხმება და დოკუმენტი ამ მინდობილობით გათვალისწინებული მიზნებისათვის, ხელი მოაწეროს მიმნდობის მაგივრად და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებასთან, მინდობილი უფლებამოსილია შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, რაც პირდაპირ არაა მითითებული მინდობილობაში, მაგრამ სავალდებულოა ამ მინდობილობით დადგენილი დავალების შესასრულებლად.

5. მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე, მესამე პირებზე გადანდობის უფლებით.

6. მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში. მინდობილობის იმ ეგზემპლიარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში თან ერთვის დანართი 1 დოკუმენტი:

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან.

გადახდილია სანოტარო საზღაური თანახმად 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილება №507, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ დადგენილების 31-ე მუხლისა ოცი ლარი (აგრეთვე დ.ღ.გ 3.60 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა) და 39-ე მუხლისა რეგისტრაციის საფასური ორი ლარი (დ.ღ.გ ჩათვლით), სულ გადახდილია ოცდახუთი ლარი და სამოცი თეთრი.

შპს **"სიმბა 2015"**-ს დირექტორი _____

შპს **"სიმბა 2015"**-ს დამფუძნებელი-პარტნიორი _____

ნოტარიუსი /ინგა ხარძიანი/.

25 ივნისი თრშ

14.30

ვოდე ავხაძის 44